MM/22/21- 21312

კოდი

ხელშეკრულება
გრანტის გაცემისა და გამოყენების შესახებ

ქ. თბილისი 27 დეკემბერი, 2021 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი" (შემდგომში "გრანტის გამცემად" წოდებული) აღმასრულებელი დირექტორის ქალბატონ ქეთევან ხუციშვილის სახით, მოქმედი ფონდის წესდების საფუძველზე ერთის მხრივ და

ა(ა)იპ " ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი "

რეგისტრირებული **თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2009 წლის 18 ივნისს.** საიდენტიფიკაციო **№ 204 569 617.** (შემდგომში "გრანტის მიმღებად" წოდებული) მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის **გიორგი კლდიაშვილის** სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგის შესახებ:

მუხლი 1. ხელშეკრულების საერთო დებულებები

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება განსაზღვრავს ფინანსურ და მატერიალურ ურთიერთობას, რომელიც წარმოიშობა გრანტის გამცემსა და გრანტის მიმღებს შორის დამტკიცებული პროექტის (რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია **იხ. დანართი 1**) გაოვალისწინებული გრანტის ათვისებასთან დაკავშირებით.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულება ასევე აწესებს მხარეთა ვალდებულებებს, გრანტის გამოყენების პროცედურას და ვადას.

1.3. იმის გამო, რომ გრანტის გამცემი არის საქველმოქმედო ორგანიზაცია, გრანტის მიმღებს ეკრძალება გრანტის გამოყენება ლობირებისათვის, პოლიტიკური ძალების პირდაპირი და ფარული მხარდაჭერისათვის.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. გრანტის გამცემი გრანტის მიმღებს დამტკიცებული პროექტის **" მედიის ხელმისაწვდომობა საჯარო ინფორმაციაზე "** გასახორციელებლად უსასყიდლოდ, გრანტის სახით, გადასცემს პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ფინანსურ სახსრებს **$ 14 000 (თოთხმეტი ათასი)**

აშშ დოლარის ეკვივალენტის ოდენობით ეროვნულ ვალუტაში ან საკუთრებაში გადასცემს ამ თანხის (თანხის ნაწილის) შესაბამის ქონებას. პროექტის ბიუჯეტი წარმოდგენილია დანართის სახით, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერით **(დანართი 2)**.

მუხლი 3. ხელშეკრულების ვადა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია **10 თვის** ვადით და ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

3.2 პროექტის განხორციელების ვადის შეცვლა შესაძლებელია გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი წერილის წარმოდგენის საფუძველზე, სადაც აღწერილი უნდა იყოს ვადების ცვლილების მიზეზი და მისი შეცვლის აუცილებლობა. გადაწყვეტილება სახელშეკრულებო ვადის შეცვლის შესახებ ძალაში შედის გრანტის გამცემის თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 4. პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ათვისების და ანგარიშგების პროცედურა

4.1. გრანტის მიმღები ვალდებულია საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა გამოიყენოს მხოლოდ ზემოდაღნიშნული პროექტის მიზნებისათვის, თანდართული ბიუჯეტის შესაბამისად.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, პროექტით გათვალისწინებული გრანტის თანხების გამოყოფის, ქონების შეძენის და შესასრულებელი სამუშაოების დაფინანსებისათვის გრანტის მიმღები წერილობით მიმართავს გრანტის გამცემს *"პროექტის განხორციელების მიზნით მოპოვებული გრანტის გამოყენების, თანხების ათვისების და ფონდის წინაშე ანგარიშგების პროცედურების შესახებ ინსტრუქციის"* მოთხოვნათა შესაბამისად **(დანართი 3).**

4.3. გრანტი ფინანსდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით და ეტაპობრივად. გრანტით განსაზღვრული თანხა შეიძლება გადაირიცხოს, როგორც გრანტის მიმღების საბანკო ანგარიშზე, ასევე სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის ანგარიშზე, რომელიც უწევს მომსახურებას ან აწვდის მატერიალურ ფასეულობას გრანტის მიმღებს დამტკიცებული პროექტის ფარგლებში.

4.4. თუ მატერიალური ფასეულობის შესაძენად გათვალისწინებული თანხა აღემატება 1500 აშშ დოლარს, გრანტის მიმღები ვალდებულია წარმოადგინოს სამი (3) სატენდერო შეთავაზება

მომწოდებელი კომპანიიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქართველოში შეუძლებელია სხვა ამგვარი საქონლის/სერვისის თუ მომწოდებლის პოვნა;

4.5. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ქონების აუცილებლობის დადგენის შემდეგ ფონდს შეუძლია თვითონ შეიძინოს ქონება და გადასცეს გრანტის მიმღებს.

4.6. გრანტის მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს დამტკიცებული პროექტის ბიუჯეტის მოდიფიკაცია. დაუშვებელია დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯზე მოთხოვნილ იქნას ისეთი მუხლის დაფინანსება, რომელიც ფინანსდებოდა თანადამფინანსებლის მიერ. მოთხოვნა ბიუჯეტის მოდიფიკაციაზე უნდა გაკეთდეს წინასწარ, წერილობითი სახით და უნდა იყოს დასაბუთება ბიუჯეტის ცვლილების აუცილებლობისა.

4.7. გრანტით გათვალისწინებული თანხა უნდა დაიხარჯოს წინამდებარე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე და დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ხოლო აუთვისებელი თანხა უნდა დაუბრუნდეს ფონდს 20 დღის ვადაში ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან, თუ ფონდის მიერ მაი გამოყენებაზე წერილობითი თანხმობა არ არის გაცემული.

4.8. გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი ეტაპის დაფინანსების დასრულებიდან 1 კვირის ვადაში გრანტების ადმინისტრაციის ოფისში წარმოადგინოს გახარჯული თანხების მიზნობრიობის დამადასტურებელი საბუღალტრო დოკუმენტების (პირველადი დოკუმენტების) ასლები და მოხსენებითი ანგარიში პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესახებ.

4.9. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის დასრულებიდან 1 თვის ვადაში წარმოადგინოს საბოლოო ფინანსური ანგარიში ფონდის მიერ დადგენილი ფორმით (იხ. დანართი 3).

4.10. გრანტის მიმღებმა უნდა შეინახოს ჩანაწერები გრანტის ფარგლებში წარმოებული ქვითრებისა და დანახარჯების შესახებ გრანტის თანხის გამოყენების შესამოწმებლად, ასევე გრანტის გამცემისთვის წარდგენილი ანგარიშების ასლები გრანტის თანხის გამოყენების დასრულებიდან ექვსი (6) წლის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

გრანტის გამცემი უფლებამოსილია:

5.1. პროექტის განხორციელების პერიოდში აკონტროლოს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დადგენილ ვადებში შესრულება და გადაცემული თანხისა და ქონების მიზნობრივი გამოყენება.

5.2. პროექტის არადამაკმაყოფილებლად განხორციელების, გადაცემული თანხის და ქონების არამიზნობრივად გამოყენების, ან ამ ხელშეკრულების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაიბრუნოს გადაცემული თანხა და ქონება.

5.3 შეიმუშავოს და გადასცეს გრანტის მიმღებს ამ ხელშეკრულების 5.10.და/ან 5.11. მუხლებით გათვალისწინებული ინფორმაციის ტექსტი, მისი განთავსების წესი და პირობები, აგრეთვე განთავსების ვადა (იხ. **დანართი №3.7**).

გრანტის გამცემი ვალდებულია:

5.4. საკონსულტაციო დახმარება გაუწიოს გრანტის მიმღებს .

5.5. დროულად მოახდინოს გრანტის მიმღებისთვის თანხების გადარიცხვა, საჭირო ქონების შეძენა და გადაცემა.

გრანტის მიმღები უფლებამოსილია:

5.6. გრანტის გამცემისაგან მიიღოს სათანადო კონსულტაციები პროექტის განხორციელების დროს

5.7. გრანტის გამცემისაგან მოითხოვოს პროექტით გათვალისწინებული თანხების თავისდროული გამოყენება.

გრანტის მიმღები ვალდებულია:

5.8. იმოქმედოს მკაცრად გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული პროექტის და წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით.

5.9. თავისდროულად მიაწოდოს გრანტის გამცემს სათანადო დოკუმენტები და მოხსენებითი ბარათები პროექტის განხორციელების შესახებ.

5.10. დაუყოვნებლივ აცნობოს გრანტის გამცემს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გაჩენილი სირთულეების შესახებ.

5.11.დამტკიცებული პროექტის ფარგლებში აქტივობების წარმართვისას და/ან ბეჭდური პროდუქციის გამოცემა-გავრცელებისას მიუთითოს გრანტის გამცემის მიერ შემუშავებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აქტივობა ხორციელდება გრანტის გამცემის მხარდაჭერით (დან. N3.7).

5.12. დამტკიცებული პროექტის ფარგლებში და მიღებული სახსრებით შეძენილ/გადაცემულ ქონებაზე გამოცემა-გავრცელებისას მიუთითოს გრანტის გამცემის მიერ შემუშავებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქონება შეძენილია/მიღებულია გრანტის გამცემის მხარდაჭერით;

გრანტის გამცემისა და გრანტის მიმღების ერთობლივი უფლება:

5.13. გრანტის გამცემი და გრანტის მიმღები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის მიმღების მიერ შესრულებული ნებისმიერი სამუშაო/შედეგი/მასალა ქონებრივი თუ არაქონებრივი სიკეთე თანაბრად წარმოადგენს გრანტის მიმღებისა და გრანტის გამცემის საკუთრებას და მასთან დაკავშირებული ყველა კანონმდელობით გათვალისწინებული უფლება წარმოადგენს ორივე მხარის თანაბარ უფლებას. შესაბამისად ორივე მხარეს ენიჭება უფლება საჯარო გახადოს ან სურვილისამებრ გამოიყენოს გრანტის ფარგლებში მოპოვებული ნებისმირი ინფორმაცია, ასევე გრანტის ფარგლებში გრანტის მიმღების მიერ შესრულებული ნებისმიერი შემოქმედებითი სამუშაო, მათ შორის, წერილობითი, გრაფიკული, აუდიო, ვიზუალური და სხვა მასალები, რომლებიც არსებობს ქაღალდზე, დისკზე, ფირზე, ციფრული ფორმატით და სხვა და ითვლება ინტელექტუალურ საკუთრებად. მათ თანაბრად ენიჭებათ უფლებამოსილება შეინახონ, თარგმნონ და საინფორმაციო საშუალებებში გაავრცელონ ეს მასალები, გრანტის ფარგლებში შექმნილ ამგვარ მასალაში ცვლილებების შეტანა, განახლება და გრანტის მიმღების მიერ პროექტის დასრულების შემდგომ მისი კომერციული მიზნით გამოყენება მოხდეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. გრანტის სახით მიღებული ქონების მწყობიდან გამოსვლის შემთხვევაში გრანტის მიმღებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გრანტის გამცემს და საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს მისი რემონტი.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ გრანტის გამცემის მიერ გრანტის მიმღებისთვის გადაცემული თანხა და/ ან ქონება მოხმარებული იქნება არადანიშნულებით, ან გრანტის მიმღები დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, გრანტის გამცემი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს ხელშეკრულებას გრანტის მიმღებთან და უკანასკნელი ვალდებული იქნება მისთვის გადაცემული თანხა სრულად დაუბრუნოს გრანტის გამცემს.

6.3. გრანტის გამცემი აგებს პასუხს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო.

მუხლი 7. პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების გარემოებები

7.1. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა ომი, შეიარაღებული კონფლიქტი, ხანძარი და სხვა მსგავსი სტიქიური თუ სხვაგვარი უბედურებანი, რომელიც დაუძლეველ ძალად (ფორს-მაჟორი) იქცა ხელშეკრულების დროული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

7.2 ფორს მაჟორის დადგომის შემთხვევაში მხარე რომელიც ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

8.1. ყოველი ცვლილება ამ ხელშეკრულებაში დასაშვებია ორივე მხარის თანხმობით და წერილობით ფორმით.

8. 2. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილებს და მათში მითითებული დებულებანი ისევე სავალდებულოა მხარეთათვის როგორც ამ ხელშეკრულების დებულებანი.

8. 3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 5 გვერდზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა გრანტის გმცემს და მეორე- გრანტის მიმღებს. ორივე ეგზემპლიარს გააჩნია ერთნაირი იურიდიული ძალა.

გრანტის გამცემი	**გრანტის მიმღები**
"საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი" აღმასრულებელი დირექტორი	**ა(ა)იპ " ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი "** წარმომადგენელი, პროექტის დირექტორი
ქ. ხუციშვილი *საქართველოს ბანკი, ა/ა ¹ 002700093* თბილისი, ჭოველიძის ქ. 10	**გიორგი კლდიაშვილი** *საბანკო რეკვიზიტები:* GEL *მისამართი: ქ. თბილისი, ბ. კრავეიშვილის ქ., N 4, ბ. 18*

დანართი 1

Application ID	MM/22/21- 21312
Application Name	" მედიის ხელმისაწვდომობა საჯარო ინფორმაციაზე "
Applicant Name	ა(ა)იპ "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"
Contact Person	გიორგი დავითური
Brief Description	პროექტის მიზანია მედიის მიერ საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ხარისხის გაუმჯობესება.
Detailed Description	პროექტის მიზანია მედიის მიერ საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ხარისხის გაუმჯობესება, ინდივიდუალური ჟურნალისტებისა და მედიაორგანიზაციებისათვის ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამართლებრივი მხარდაჭერის აღმოჩენა.
Grant Activation Date	**2021/12/27**
Grant Due Date	**2022/10/27**

დანართი 2

MM/22/21- 21312 - ხარჯთაღრიცხვა

Total Approved Amount **14 000**

Grant Currency **USD**

(7 rows on 1 page)

Project Coordinator	4,500.00	Edit
Lawyer	6,800.00	Edit
Visual materials - infographics	840.00	Edit
Design of final report	410.00	Edit
Boosting of report and infographics	150.00	Edit
Translation	700.00	Edit
Court fee	600.00	Edit

გრანტის გამცემი "საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი" აღმასრულებელი დირექტორი ქ. ხუციშვილი	**გრანტის მიმღები** ა(ა)იპ " ინფორმაციის თავისუფლების **განვითარების ინსტიტუტი** " წარმომადგენელი, პროექტის დირექტორი **გიორგი კლდიაშვილი**